# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 92

15 მაისი
"---"---------- 2020 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ატრაქციონისთვის" (ს/კ: 405354753) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ატრაქციონისთვის" (ს/კ: 405354753) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის №20.496.648 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ატრაქციონისთვის" (ს/კ: 405354753) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8 500 (რვა ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონდმებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე